

ს.ს.ი.პ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

23.07.2010 № 101

თბილისი

სტუდენტთა შემადგენლობის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში, სტუდენტთა კონტინენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების ყველა საფეხურზე (ბაკალავრიატი/პროფესიული უმაღლესი, მაგისტრატურა, დოქტურანტურა) 2010-2011 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სტუდენტთა ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე და ფაკულტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის პროცესების ვადები განისაზღვროს 2010 წლის 26 ივლისიდან 3 სექტემბრის ჩათვლით;
2. მსურველთა განცხადებებისა და საჭირო თანდართული დოკუმენტაციის მიღება განხორციელდეს 2010 წლის 26 ივლისიდან 3 სექტემბრის ჩათვლით ყოველდღე 10⁰⁰ საათიდან 17⁰⁰ საათამდე (შესვენება 13⁰⁰ - 13³⁰), შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში, მესამე სართული, ოთახი 350 (თბილისი, კოსტავას 77).
3. განცხადებების არსებული წესის თანახმად რეგისტრაცია დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;
4. სტუდენტთა ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე და ფაკულტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის პროცესის წარმართვა დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ბაზების ფორმირებისა და აკადემიური დატვირთვების განყოფილების უფროსს, ხ. მხეიძეს;
5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანებმა (ზ. გედენიძე, ა. აბშილავა, გ. არაბიძე, ნ. წერეთელი, ო. გელაშვილი, გ. მიქიაშვილი, რ. ქუთათელაძე, ზ. წვერაიძე) უზრუნველყონ მოტივირებული დასკვნების მომზადება სტუდენტების მიერ გავლილი უმაღლესი სასწავლო კურსების ცნობის შესახებ და წარმოადგინონ სწავლების დეპარტამენტში 6 სექტემბრის ჩათვლით;
6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებმა (ზ. გედენიძე, გ. არაბიძე, ა. აბშილავა, ნ. წერეთელი, ო. გელაშვილი, გ. მიქიაშვილი, რ. ქუთათელაძე, ზ. წვერაიძე) ამ ბრძანების მე-5 პუნქტის განხორციელებისათვის სწავლების წლის განსაზღვრის ნაწილში იხელმძღვანელონ დანართი 1-ით;
7. დაევალოთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებს (ზ. გედენიძე, გ. არაბიძე, ა. აბშილავა, ნ. წერეთელი, ო. გელაშვილი, გ. მიქიაშვილი, რ. ქუთათელაძე, ზ. წვერაიძე) კონკურსის არსებობის შემთხვევაში წარმოადგინონ

შესაბამისი საგამოცდო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობა არაუგვიანეს 7 სექტემბერს;

8. კონკურსანტთა რეგისტრაცია ჩატარდეს 2010 წლის 8 სექტემბერს;
9. საკონკურსო გამოცდა ჩატარდეს 2010 წლის 10 სექტემბერს;
10. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებმა საკონკურსო გამოცდების შედეგები გამოაქვეყნონ ვებ-გვერდზე 2010 წლის 11 სექტემბერს;
11. სააპელაციო განცხადების მიღება მოხდეს ამა წლის 13 სექტემბერს ;
12. სააპელაციო განცხადებების განხილვა და საბოლოო შედეგების გამოქვეყნება მოხდება 2010 წლის 14 სექტემბერს;
13. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანებმა მოამზადონ წარდგინება სტუდენტთა ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე და ფაკულტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შესახებ და წარმოადგინონ სწავლების დეპარტამენტში სტუდენტთა განცხადებებთან და თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად 2010 წლის 15 სექტემბერს;
14. 2010-2011 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე და ფაკულტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა (ხ. მხეიძემ) არაუგვიანეს 2010 წლის 17 სექტემბერსა;
15. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი. ლომიძეს;
16. ბრძანება განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
17. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ლ. კლიმიაშვილი

ვიზები:

სწავლების დეპარტამენტის

უფროსი ი. ლომიძე

იურიდიულ დეპარტამენტის

უფროსი ბ. მაისურაძე

სტამბა: